პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და წითელ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენშ. № 4 მ-ე სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 8—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქციის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება—70.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2 მილ. მ.

№ 79 კვირა, 8 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 0,000 მან. № 79

დღიური

საფრანგეთის პრესა ფიქრობს, რომ უახლოეს დროში პუანკარეს მთავრობას შეცვლის ლუშერის მთავრობა.

საფრანგეთის მთავრობა დიდ [illegible] ემზადება. ინგლისური გაზეთების ცნობით, ეს მზადება პირველ-ყოვლისა მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ.

დაითხოვეს ისპანიის პარლამენტი.

გერმანიის საქარხნო კომიტეტების არჩევნებში იმარჯვებენ კომუნისტები.

ესსენის ამბების მსხვერპლთა დაკრძალვა განზრახულია სამშაბათისათვის.

ტექნიკური დაბრკოლებების გამო ჩვენი გაზეთი გამოდის დღეს ორი გვერდით. შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 აპრილს.

საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ

კონტორიდან

გაზეთების გამომცემლობებთან შეთანხმებით აპრილის თვეში წესდება შემდეგი ტარიფი განცხადებებზე.

მე 4-ე გვ. ფასი სტრიქონზე ნონპარელი—70000 მ. 1-ლ და მე-2 ე გვ. ფასი სტრიქონზე ნონპარელი—140000 მან. განმეორებითი არა ნაკლებ 5 ჯერ 5 პროცენტის დაკლება, და არა ნაკლებ 10 ჯერ 10 პროცენტის დაკლება.

თეატრალური 60 სტრიქონამდე 20 პროცენტის დაკლებით, 60 სტრიქონზე მეტი კი ნორმალური ტარიფით.

სამგლოვიარო განცხადებები არა უმეტეს 30 სტრიქონისა—2 მილ. მანეთი. საექიმო არა უმეტეს 5 სტრიქ.—3 ნახევარი მილ. მ. თვეში, 5 სტრიქონზე მეტი კი ფასდება როგორც შრომის მიწოდება. 3—2

კავშირი უპარტიო მასებთან

დამოკიდებულება უპარტიო მასებისა ჩვენ პარტიისთან, ამ უკანასკნელის გავლენა ამ მასებზე, ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც არ ამოშლილა ჩვენი მუშაობის დღის წესრიგიდან და ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობა გადავიდა პარტიის ხელში. რამდენათ ძლიერიც უნდა იყოს პარტია და მასიური მისი შემადგენლობა, ცხადია, რომ ის ვერ დაიტევს თავის კარებს ყველას ვისი ინტერესების გამომხატველიც ის არის. თუ ჰიპოტეტიურათ დასაშვებია დებულება, რომლის თანახმათ საზღვარი კლასსა და პარტიას შორის მოიშლება შედეგათ კლასიური შემეცნების ხანგრძლივი და ბრძოლებით განვითარებისა—და ეს უეჭველათ ასეც იქნება, რამოდენათაც ეს პროცესი დაწყებულიც არის საბჭოთა რესპუბლიკებში—დღევანდელობით მდგომარეობა სულ სხვანაირია. კიდევ მეტიც. პარტია იძულებულია დრო-გამოშვებით გადასინჯოს რიგები თავისი შემადგენლობის და სასტიკი მასშტაბით მიუდგეს სოციალ-პოლიტიკურ და იდეიურ შეფასებას თავის დღევანდელ თუ მომავალ წევრებისას. ზედმეტია სიტყვის გაგრძელება ასეთი ზომების აუცილებლობის შესახებ: ამაზე არა ერთხელ გვქონია საუბარი ჩვენ მკითხველებთან, მაგრამ, ჭეშმარიტი თავისთავათ, ეს დებულება, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ [illegible] პარტიის, ასე ვსთქვათ, გარემოს ჩაიკეტოს ის თავის ნაჭუჭში და დაშორებული იქნეს იქიდან. ეს არც ერთ პარტიას თავში არ მოუვა, მით უმეტეს ეს მიუღებელია მებრძოლი პარტიისათვის, რომლის იდეიურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული გავლენა ფართო მასებზე მით უფრო ფართო უნდა იყოს, რაც უფრო მკაცრია ის თავის რიგების შემადგენლობის შერჩევის საქმეში. პირიქით, სწორეთ ეს სიმკაცრე გულისხმობს მეორე მხრით, რომ ყოველი ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა განმტკიცდეს კავშირი უპარტიო მშრომელებთან. რადგან არა მარტო სახელმწიფოს მართვა, თვით უმთავრესი საზოგადოებრივი საქმეც ვერ იწარმოებს წარმატებით და ვერ გაკეთდება მასიური თანამოქმედების გარეშე, ვინაიდან სწორეთ ეს თანამოქმედება არის უტყუარი საწინდარი ყოველი მიღწევის სიმტკიცისა და ხანგრძლივობის. და სწორედ ამ პირობებში და ასეთი შეხედულების გამო ეს ურთიერთობა პარტიასა და მის გარეთ დარჩენილთა შორის, კავშირი პარტიისა უპარტიო მშრომელებთან არის ერთი უდიდეს საკითხთაგანი, აუცილებლათ გადასაჭრელი. ამ მხრით, შეიძლება ითქვას, რომ ის უნარი, რომელსაც გამოიჩენს ჩვენი პარტია მის გადაწყვეტაში, შეიძლება იყოს საზომი მისი წარმატებით მუშაობის.

ამიტომ არა ერთხელ ყოფილა პარტიის ყრილობებისა და მის ავტორიტეტულ დაწესებულებების მიერ გადაცემული დირექტივა უპარტიოებთან დაკავშირებისა და ამ მიზნით მათ შორის ენერგიული მუშაობის შესახებ. ორგანიზაციული მუშაობის სფეროში ამ საქმეს ემსახურება უპარტიოების დაახლოება პარტიის ძირითად უჯრედებთან და უფრო ფართოთ, დაბოლოს, უპარტიოთა კონფერენციები, რომელთა შესახებ ცნობები იბეჭდება ხოლმე ჩვენს გაზეთებში და რომლებიც ტარდებიან პარტიულ მუშაკების და ორგანიზაციების ხელის შეწყობითა და გავლენის ქვეშ. ამ მხრივ სწარმოებს ცხოველი მუშაობა რუსეთში და უნდა ითქვას, რომ იქ დიდი შედეგებიც არის მიღწეული. უპარტიო მასას თანდათან ემყარება ის აზრი, თანდათან იმკვიდრება ის იმ შეხედულებით, რომ კომუნისტური პარტია არის გამომხატველი მის მისწრაფებათა, მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაციულათ ის სდგას მის გარეშე. ეს დამოკიდებულება უპარტიოების ჰპოულობს ხშირათ ფრიად გარკვეულ გამოხატულებას ამა თუ იმ შემთხვევებში და ამ მხრივ ღირსშესანიშნავია, სხვათა შორის, ეს მომენტი კომპარტიის სრულიათ უკრაინის კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობს დღეს ხარკოვში.

ის აღფრთოვანება და ინტერესი, რომლებითაც აღბეჭდილია უპარტიოთა დელეგაციების გამოსვლა კონფერენციაზე, მათი მისალმება წითელი არმიისადმი ამხ. ტროცკის სახით, საზოგადოთ დამოკიდებულება კომპარტიისადმი, რაც იწვევს საყოველთაო აღტაცებას მშრომელთა მასაში, ყოველივე ეს ისეთი მაჩვენებელი მოვლენაა საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში, რომელსაც დუმილით გვერდს ვერ ჩაუვლის ვერავინ, იქნება ის მტერი, თუ მოყვარე არსებული წესწყობილების. პარტია ხდება მასიური ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. თუ ეს საჭიროა ყველგან, მისი უდიდესი მნიშვნელობა ვერ გამოეპარება ვერავის განსაკუთრებით, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ მნიშვნელოვან ნაწილთან რესპუბლიკათა კავშირისა, როგორიც არის დასავლეთ „მეზობლებისა“ [illegible] საქმით უკრაინა. თუ განაპირა ნაწილებს ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირისას მართებთ რაც შეძლება მეტი სიმტკიცე ყოველ მხრივ, ეს უეჭველათ ითქმის უკრაინაზე მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. თუ სადმე საჭიროა ურყევი შინაური ფრონტი გარეშეთა დასაოკებლათ და „დასამშვიდებლათ“ ეს არის სწორეთ აქ, და ამ მხრივ არის აღსანიშნავი მნიშვნელობა უპარტიოთა სულისკვეთებისა, რომლის თვალსაჩინო დემონსტრაციას წარმოადგენს მათი გამოსვლები ხსენებულ კონფერენციასთან დაკავშირებით.

ეჭვი არ არის, რომ ის რეზოლიუციები მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც გამოტანილია კონფერენციაზე, გამოხატავს არა მარტო პარტიული მასის, არამედ მის გარეშე მდგომ ფართო მასების შეხედულებასაც. და რაც უფრო დაიპყრობს ჩვენი პარტია გავლენას მათზე, რაც უფრო მჭიდროთ დაუკავშირდება ის ამ მასებს, მით უფრო ადვილათ შესძლებს გაუსწორდეს ის თავის სავალ გზაზე მრავალ დიდ დაბრკოლებებს.

უკრაინის პარტკონფერენცია

უპარტიოთა ზეიმი.

მოსკოვი. 7 აპრილი. უპარტიოთა გამოსვლამ კონფერენციაზე ამოქმედა ხარკოვის მუშათა ფართო მასსები, რომელნიც დიდი ინტერესით ყურს უგდებენ კონფერენციის მუშაობას. თვით კონფერენციამ შესწყვიტა მუშაობა მხოლოდ იმიტომ, რომ მოესმინა უპარტიო მუშათა ჯგუფის მილოცვები და განემარტა მათთვის წესრიგში დასმულ საკითხების მნიშვნელობა.

რკინის გზელთა გამოსვლა.

ქალაქში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია რკინის გზელთა გამოსვლამ. ისინი დადიოდნენ ქალაქში საქარხნო კომიტეტების მეთაურობით, წითელი დროშებით, ორკესტრით და გუნდით. თეატრთან, რომელშიაც მუშაობდა კონფერენცია, მოხდა მუშების საგრძნობი მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 8000 კაცზე მეტი. ორატორები მიესალმენ მუშათა კლასის ბელადებს და კომუნისტურ პარტიას. მანიფესტანტები დაჟინებით მოითხოვდენ კონფერენციაზე მყოფ ამხ. ტროცკის გამოსვლას.

ამხ. ტროცკის სიტყვა

მის გამოსვლას ინტერნაციონალის სიმღერით და მქუხარე ტაშის ცემით მიეგებნენ. მუშებისადმი მიმართულ სიტყვაში ამხ. ტროცკიმ სთქვა, რომ ის მუშაობა, რომელსაც იწვევს კონფერენცია, არის არა მარტო პარტიის, არამედ მთელი მუშათა კლასის.

მთელი დღის განმავლობაში ხარკოვში სწარმოებდა უპარტიო მუშათა და პარტიის დაახლოვება-დაკავშირება.

პარტიის ამოცანები.

კონფერენციაზე პარტიის მეთორმეტე ყრილობის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტროცკი. მომხსენებელმა განაცხადა: „ჩვენი პარტიის მეათე ყრილობის შემდეგ მსოფლიო რევოლიუციის ტემპი შენელდა და ჩამოყალიბდა ახალი ეტაპი, რომლის გამომხატველი არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა. საერთაშორისო ურთიერთობაშიაც დაეტყო ძალთა ახალი გადაჯგუფება. ფაშიზმის გამარჯვება იტალიაში და რურის ოკუპაცია გამოაშკარავებენ ძალთა გადაჯგუფებას მარჯვენა ფრთისაკენ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშიშროებანი ხელს უშლიდნენ ჩვენს ამოცანებს.

შინაური ძალები.

ამხ. ტროცკის მოჰყავს ლენინის სიტყვები: „წადით წინ, მაგრამ თავი დაიპყრეთ“. საჭიროა გვახსოვდეს მსოფლიოს ახალი ეტაპი. სახელმწიფო აპარატს და მრეწველობას არ შეუძლია დაეყრდნოს ჩამორჩენილ გლეხურ ეკონომიკას. აქედგან გამომდინარეობს აპარატის გაიაფების აუცილებლობა.

შეთანხმება გლეხებთან.

საჭიროა თავი დავანებოთ გლეხობის შევიწროვებას. ამიტომ მას უნდა გამოვართვათ იმდენი, რომ მომავალ წელში გასულ წელთან შედარებით ის უფრო შეძლებული იყოს; საჭიროა გლეხობა დავაკავშიროთ საერთაშორისო ბაზართან და გავაფართოვოთ ჩვენი ბაზრის მოთხოვნილება; საჭიროა გამოვარკვიოთ, რას ვართმევთ ჩვენ გლეხობას და რა შეგვიძლია მივცეთ მას. უწინ ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ სოციალიზმი არის აღრიცხვა, ეხლა ვლაპარაკობთ, რომ ის არის კალკულიაცია, ბალანსი. მთელი საბჭოთა ფედერაცია გადადის ბალანსზე. ჩვენ უნდა ვსთქვათ უკეთესია ნაკლები ბიუჯეტი, მაგრამ ამავე დროს ძლიერი და ურყევი.

საბჭოთა აპარატი და პარტია.

შემდეგ ამხ. ტროცკი ლაპარაკობს, რომ პარტიამ თავისი ხელმძღვანელობა უნდა გამოიჩინოს ყველა დარგში, ამისათვის საჭიროა ისეთი პარტიული, სამეცნიერო, საბჭოთა სასწავლებლის შექმნა, რომელიც მოგვცემს სახელმწიფო აპარატისათვის საჭირო პირებს.

ეროვნული საკითხი.

ეროვნულ საკითხში არსებობს საშიშროება და ის მით მეტია იქ, სადაც გლეხობა ეკუთვნის ისეთ ეროვნებას, რომელიც ძველ რუსეთში არ ბატონობდა. ამიტომ საჭიროა საერთო ეკონომიური და კულტურულ-პსიხოლოგიური გადახრა გლეხობასთან, რომ მან ეროვნული კულტურის საშუალებით ეზიაროს მსოფლიო კულტურას. ეროვნული პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობა რჩება პარტიის ხელში, რომელიც სწყვეტს ყველა საკითხებს საერთაშორისო რევოლიუციის ამოცანების თვალსაზრისით. ამ ბოლო წლეებში ჩვენი პარტია გამაგრდა, გაიწმინდა და შეივსო პროლეტარული ელემენტებით.

ახალგაზრდობა.

შემდეგ ამხ. ტროცკი ახალგაზრდობის შესახებ ლაპარაკობს, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ახალგაზრდობისათვის, რომელსაც კაპიტალის აგენტები—მენშევიკები შეეცდებიან ჩაიმხრონ თავიანთკენ.

ილიჩის გარშემო.

ამხ. ტროცკი შემდეგში ლაპარაკობს ვლადიმერ ილიჩის ავადმყოფობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ძვირფასი მასწავლებლის და იდეურ ხელმძღვანელის ავადმყოფობის საშინელმა ამბებმა ამხანაგებში შეიტანა არა თუ გაშორების და დაბნევის [illegible], არამედ სრული თანხმობის და კოლექტიური მუშაობის. ეხლა ჩვენ წვრილმანი საქმეებით ვართ დატვირთული, ვამოკლებთ შტატს, მაგრამ სრულიადაც არ დაბნეულვართ.

მომავლისაკენ.

ჩვენ ვიცავთ „პოინკარეს“, მაგრამ იმავე დროს აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ ვიყურებით როგორც კი გაისმის ბრძოლის ყიჟილი ჩვენ გვეყურით მას ვინაიდან ჩვენ ვიყავით და ვართ რევოლიუციონერები. სიტყვის დროს ყრილობაზე ჩნდება უპარტიოთა დელეგაცია. მუშები ირჩევენ ტროცკის საპატიო მონტიორათ, [illegible] და მუშათა ორთქლმავლის [illegible] ქარხნისა. ამხ. ტროცკი მადლობას უხდის მუშებს არჩევისათვის და მუშაობას [illegible], რომ ძველი აღზრდა საშუალებას არ აძლევს მას გახდეს ნამდვილ მონტიორათ. შემდეგ ტროცკი პასუხს აძლევს შემოსულ წერილობითი შეკითხვებზე. შეკითხვაზე—იქნება თუ არა ომი ტროცკი უპასუხებს: „ჩვენ ყოველგვარ [illegible] ომი თავიდან ავიცილებთ, მაგრამ ომის შესაძლებლობა არსებობს და ამ დროს წითელ არმიის, ფლოტის და ავიაციის. გადამწყვეტი დღის წინ [illegible] უნდა იდგეს. ამხ. ტროცკის მოხსენებით მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მე—10 და მე 11 ყრილობის ძირითადი ამოცანები ინახავენ ძალას უახლოეს მომავალი პერიოდისთვისაც.

პარტიის უახლოესი ამოცანაა—სოფლის მეურნეობის ხელიდან გამოგლეჯილი იქნას პროლეტარიატი და გაერთიანდეს წითელი დროშის ქვეშ. რევოლიუციის გამარჯვება დამოკიდებულია პროლეტარიატის და გლეხობის სწორ ურთიერთობაზე. კონფერენცია იწონებს რ. კ. პ. ც. კ—ის მიერ აღებულ ხაზს და მის მტკიცე გატარებას.

მიმართვა კომინტერნისადმი.

მოსკოვი. 7 აპრილი. სრულიად უკრაინის პარტიულ მეშვიდე კონფერენციამ ერთხმად მიიღო მიმართვა კომინტერნისადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე საბედისწერო ხანაში, როდესაც ბურჟუაზიულ ყველა ქვეყნებში სწარმოებს გადამწყვეტი შეტაკება შრომას და კაპიტალს შორის, როდესაც ზეიმით ძირითადი ფაშიზმი ათასეულ მშრომელთა ძვლებზე მიილტვის ბურჟუაზიის განმტკიცებისკენ, რაც მოასწავებს ახალ სისხლთა ღვრას—მთელი ქვეყნის პროლეტარიატი ერთად ემედს ამყარებს კომუნისტურ ინტერნაციონალზე. კონფერენციას სწამს, რომ შორს არ არის გამარჯვება. კომინტერნის გამოცდილ ხელმძღვანელობით, მუშათა კლასი დაამხობს კაპიტალის ბატონობას და მთელ მსოფლიოზე აღმართავს შრომის წითელ დროშას.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ჯალათები თანხმდებიან.

პარიზი. 7 აპრ. ბონში გაიხსნა მოკავშირეთა რეინლანდიის კომისიის სხდომა, რომელზედაც არკვევენ საკითხს რკინის გზის შესახებ.

კრუპპის წინააღმდეგ.

ბერლინი. 7 აპრ. ესსენიდან იტყობინებიან, რომ ოკუპანტები იმუქრებიან კრუპპის მთელი წარმოების ხელში ჩაგდებით, თუ საჩქაროდ გადახდილი არ იქნება ნახშირის გადასახადი.

ფულის წაღება.

ბერლინი. 7 აპრ. როგორც ირკვევა, ფრანგებმა რეკვიზიცია უყვეს ბოხუმის ბანკებში ნახევარ მილიარდ მარკას.

ინგლისის პოზიცია.

ბერლინი. 7 აპრ. გავასის სააგენტო იუწყებინება, რომ ინგლისის პოლიტიკურ წრეებში დასავლეთ რეინლანდიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსების აზრი ვერ პოულობს თანამგრძნობთ.

ოკუპაციის გარშემო

ლუშერი მომავალი პრემიერ მინისტრი.

ბერლინი. 7 აპრილი. „ფოსიშე ცაიტუნგის“ ოფიციალური კორესპონდენტი იტყობინება, რომ პარიზის პოლიტიკურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ლუშერის წასვლამ ლონდონში და მისმა თათბირმა ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ამასთანავე პარიზის პოლიტიკურ წრეებში იმასაც აღნიშნავენ, რომ ლუშერი წავიდა ლონდონში, როგორც კერძო პირი. მიუხედავათ ამისა იმასაც ფიქრობენ, რომ ლუშერი წავიდა ლონდონში, როგორც მომავალი პრემიერი, მიზნით—შექმნას იქ ნიადაგი საფრანგეთის და ინგლისის ერთიანი მოქმედების რურის ოლქის ოკუპაციის ლიკვიდაციის შემდეგ. „ფოსიშე ცაიტუნგის“ განცხადება საყურადღებოა იმიტომ, რომ „ეხო ნაციონალი“ სრულებით არაფერს ამბობს ლუშერის გამგზავრების შესახებ.

ფორვერტსის აზრი.

ბერლინი. 7 აპრილი. ბერლინის გაზეთი „ფორვერტსი“ ლუშერზე მიწერილ გეგმების ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ, აღნიშნავს შემდეგ განცხადებას „დეილი ტელეგრაფისას“: საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა შეიძლება მოხდეს მხოლოდ გერმანიასთან და არა სხვა ვინმესთან შეთანხმებით. ბოლოს „ფორვერტსი“ არჩევს რა სხვა და სხვა წინადადებებს „დეილი ტელეგრაფისას“ აღნიშნავს, რომ საკონტრიბუციო და საოკუპაციო პრობლემები არ შეიძლება გადაჭრილ იქნას ნაწილობრივი დათმობის გზით, არამედ უნდა გადაიჭრას მთლიანათ.

ლუშერის განცხადება.

ლონდონი. 7 აპრილი. ლუშერმა საუბარში ინგლისის პრესის წარმომადგენლებთან განაცხადა, რომ ის მივიდა ინგლისში არა ოფიციალურად, არამედ ინგლისის საზოგადოებრივ აზრის შესასწავლად. ის დიდი კმაყოფილი დარჩა ინგლისში გაბატონებულ აზრით საფრანგეთის შესახებ. ბოლოს ლუშერმა სთქვა, რომ ის ყოველგან ხვდებოდა საფრანგეთისადმი კეთილგანწყობილებას და თუ ინგლისი არ ეთანხმება საფრანგეთს რურის საკითხში, ყოველ შემთხვევაში ის არ არის წინააღმდეგი საფრანგეთისა.

ესსენის ამბები

კარგად ესმით

მოსკოვი. 7 აპრ. კრუპპის ქარხნის მუშა-კომუნისტებმა [illegible] განაცხადეს მხარი დაუჭირათ სხვა მუშების პროტესტისათვის, რომელიც მიმართული იყო რურის ოლქის ოკუპანტების მიმართ, რადგან **მუშა-კომუნისტებმა განაცხადეს, რომ რურის ოლქის ოკუპაციაში ბრალი ედება არა მარტო საფრანგეთს, არამედ გერმანიის კაპიტალისტებსაც.**

საყურადღებო საკითხი

მოსკოვი. 7 აპრილი. ესსენში მუშების დახოცვის გამო, გერმანიის გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი“ სწერს „იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიზე განაჩენის სისრულეში მოყვანამ გამოიწვია პროტესტები ყველა მხრიდგან, გერმანიის მუშების დახოცვამ გამოიწვია პროტესტი მხოლოდ გერმანიაში. საინტერესოა—ამბობს გაზეთი—რამ დაუშალა სხვა სახელმწიფოებს აემაღლებიათ ხმა და თავისი გრძნობა გამოეთქვათ ფრანგების მოქმედების წინააღმდეგ.

მუშებმა გადაარჩინეს მაღარო.

ბერლინი. 7 აპრ. მაღარო „ბარგმაპოლიუკში“ მუშების ენერგიულმა გამოსვლამ მაღაროს დასაცავად ოკუპანტ ფრანგებისაგან, სათანადო შედეგი მოიტანა. 6 აპრილს ფრანგები იძულებული შეიქნენ დაეტოვებინათ მაღარო, რის შემდეგ მუშები შეუდგნენ მუშაობას.

მსხვერპლთა დაკრძალვა.

ბერლინი. 7 აპრ. სამშაბათს დილით მოხდება ესსენის ამბების მსხვერპლთა დაკრძალვა.

ნამდვილი დამნაშავეები.

მოსკოვი 6 აპრილი. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა ცდილობს ესსენის ამბებში დამნაშავე მაარეთ გამოიყვანოს გერმანიის ადმინისტრაცია, რომელმაც ვითომდა გამოიწვია მუშებსა და ფრანგ ჯარისკაცებს შორის შეტაკება. საფრანგეთის ოფიციალური ცნობით, ფრანგ ჯარისკაცებს ქვებს ესროდენ. უარყოფს რა ამას, გაზეთი „ჰუმანიტე“ სწერს, რომ **რურის ოკუპაციის დღიდან ცხადი იყო, რომ ასეთი სისხლის ღვრა მოსალოდნელი იყო, რადგან მუშათა რაიონები სამხედრო პირებით აავსეს.** „ჰუმანიტე“ ზიზღით იხსენიებს პუანკარეს და კუნოს, რომლებიც ნამდვილი დამნაშავეები არიან მომხდარ ამბებში.

გერმანიის დამოუკიდებელთა ყრილობა

მოსკოვი. 7 აპრილი. გერმანიის დამოუკიდებელთა ყრილობაზე ლედებურმა განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია მე 2 და ½ ნახ. ინტერნაციონალების შეერთებისა. ნამდვილი რევოლიუციონური ინტერნაციონალი, განაცხადა ლედებურმა, არ შეიძლება შეიქმნას კომუნისტების მონაწილეობის გარეშე. ყრილობაზე ყველა ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილია მიიღოს პარტიამ მონაწილეობა ჰამბურგის კონფერენციაში ვენის ინტერნაციონალის შენარჩუნების სასარგებლოთ აგიტაციის მიზნით. ამავე ყრილობაზე ლედებურმა კმაყოფილებით აღნიშნა ფაქტი რუსეთის მუშების მიერ რურის მუშებისათვის პურის გაგზავნისა. ლედებურის წინადადების უარყოფის გამო, ლედებურმა მოხსნა თავისი ც. კ—ს წევრობის კანდიდატურა. ყრილობის მიერ ც. კ—ს წევრებათ არჩეული არიან ლიბკნეხტი და სხვები. სხვათა შორის უკანასკნელ სიტყვაში ლედებურმა განაცხადა, რომ პარტიის ყოველი წევრი ვალდებულია აასრულოს ყრილობის ყოველი გადაწყვეტილება.

ახლო აღმოსავლეთი

ვენიზელოსი საბერძნეთის დელეგაციის მეთაური.

მოსკოვი. 6 აპრილი. **ინგლისური გაზეთის „დეილი ნიუსის“ ცნობით, ლოზანის ახალ კონფერენციაზე საბერძნეთის დელეგაციის მეთაური ვენიზელოსი იქნება.**

აფასებენ არა სიტყვით, არამედ საქმით.

ანგორა. 4 აპრილი. სმირნის გაზეთი „ხედაი ხაკ“-ი აკრიტიკებს ინგლისის მეფის პასუხს ავღანისტანის ემირისადმი. აღნიშნავს რა ინგლისის თვალთმაქცობას, გაზეთი სწერს: ევროპა დაგვცინის ჩვენ. ოსმალეთი არ [illegible] თავს ევროპას. ინგლისის მეფის და საფრანგეთის პრემიერის განცხადებები ვერ სარგებლობენ ნდობით. ოსმალეთი აფასებს არა სიტყვებს, არამედ საქმეს.

მოსულის რაიონში.

ანგორა. 4 აპრილი. სირიიდან იტყობინებიან, რომ მოსულის მახლობლად მცხოვრებლები აფართოებენ მუშაობას ინგლისის წინააღმდეგ. გაზეთ „ეში უმეტ“-ის ცნობით, მოსულის რაიონში ინგლისელებს ჰყავთ 60,000 ჯარის-კაცი და 400 ჰაეროპლანი.

სურთ გაიტაცონ.

ანგორა. 4 აპრილი. სტამბოლის გაზეთი „იკდამ“-ი სწერს: „თუ მოკავშირეები მოითხოვენ ვალების პროცენტის ოქროთი გადახდას, ოსმალეთი გაღატაკებული დარჩება“.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი.

საფრანგეთი იარაღდება.

ბერლინი. 7 აპრილი. „დეილი ქრონიკლი“ და „ვესტმინსტერ გაზეთი“, ეხებიან რა საფრანგეთის საზღვაო მინისტრის სიტყვას, ამბობენ, რომ საფრანგეთი როგორც სჩანს ისწრაფვის დიდი საზღვაო ფლოტის შესაქმნელად და საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ასეთი შეიარაღება არ შეიძლება გამართლებულ იქნას გერმანიის საშიშროებით, არამედ მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ.

გერმანია.

პროლეტარულ რაზმების დევნა.

მოსკოვი. 7 აპრილი. გერმანიის მთავრობა უფრო და უფრო ენერგიულათ ეწევა ბრძოლას პროლეტარულ თავდაცვის წინააღმდეგ. ბადენის მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა აღძრულ იქნას სასამართლოს წესით საჩივარი პროლეტარულ რაზმების წინააღმდეგ. პრუსიის მთავრობამ დაიწყო გამოძიება მთელი რიგი მუშების და საქარხნო კომიტეტების წინააღმდეგ მათ აბრალებენ სამოქალაქო სიმშვიდის დარღვევას.

გაერთიანებულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ კომუნისტებთან ერთად შექმნა კომისია, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს სევერინგის ბრძანებას პროლეტარულ თავდაცვის წინააღმდეგ.

გერმანია და მემელი.

პარიზი. 7 აპრილი. ბერლინიდან მოსულ ცნობით, გერმანიის მთავრობამ თხოვნით მიმართა ელჩთა კონფერენციას, მემელის საკითხის მომწესრიგებელ კომისიაში გერმანიის წარმომადგენლის დაშვების შესახებ.

ინგლისი

გაფიცვა.

მოსკოვი 7 აპრილი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ სამხრეთ უელსის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

საგაფიცვო მოძრაობა ძლიერდება

მოსკოვი. 7 აპრილი. საგაფიცვო მოძრაობა ინგლისში ძლიერდება. გაიფიცნენ ვაგონის სააღმშენებლო ქარხნების 10 000 მუშა, რომლებმაც უარყვეს დამქირავებელთა წინადადება ხელფასის შემცირების შესახებ. კარდიფის რაიონში გაფიცული არიან 45.000 მაღაროების მუშები, რომლებმაც წინადადება წამოაყენეს პროფკავშირთა გარეშე მუშების მიღების აკრძალვის შესახებ. გაფიცვის პირველ დღის შემდეგ დამქირავებლებმა წინადადება მისცეს კავშირში არამყოფ მუშებს შეიტანონ საწევრო გადასახადი კავშირში შესვლის გასაადვილებლათ.

ჩინეთი

მუშების გამარჯვება.

მოსკოვი. 7 აპრილი. პეკინიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ ჩინეთის მუშათა ფედერაციამ, რომელშიაც შედიან ორასი სხვა და სხვა პროფკავშირი, მსხვილი გამარჯვება მოიხვეჭა. 13 მარტს, მრავალრიცხოვან მუშათა დემონსტრაციის შემდეგ, კანტონის მთავრობა იძულებული იყო ეცნო ფედერაციის ლოიალური არსებობა. უკანასკნელ დეკლარაციაში მუშათა დელეგაციამ განაცხადა, რომ ის სცნობს მხოლოთ მუშათა მთავრობას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ დაადგება მუშათა კლასისათვის საზიანო პოლიტიკას, ის მზათ არის მხარი დაუჭიროს არსებულ ხელისუფლებას. ახალ ფედერაციაში ამ ჟამათ პროფკავშირების წევრები სწარმოებს იმ მიზნით, რათა ფედერაციიდან განიდევნოს პროფკავშირთა ბიუროკრატია.

პოლონეთი

ებრაელთა დევნა ვარშავაში.

ბერლინი. 7 აპრილი 5 აპრილს **პოლონეთის ნაციონალისტებმა ვარშავაში ანტისემიტური დემონსტრაცია გამართეს. რომელიც დამთავრდა ებრაელთა უბნების დარბევით და ძარცვით. „პოგრომის“ დროს მოკლულია და დაჭრილია 40 კაცი.**

რუმინეთი,

აჯანყება რუმინეთში.

ბერლინი 6 აპრილი. ვენის გაზეთები იტყობინებიან, რომ ქ. იამპოლში (რუმინეთი) აჯანყება მოხდა, აჯანყებულებსა და ჯარებს შორის მომხდარ შეტაკების დროს მოკლეს 50 მეამბოხე. ას-ორმოცდა-ათი კი ტყვეთ წაიყვანეს და ციხეებში ჩაყარეს. რუმინეთის გაზეთები ვრცელ ცნობებს ათავსებენ რუმინეთის სხვა და სხვა კუთხეებში მომხდარი გამოსვლების შესახებ, მაგრამ ცნობები აჯანყებულებსა და ჯარებს შორის მომხდარი შეტაკების შესახებ ცენზურამ არ გაუშვა, იუწყებიან, რომ დემონსტრანტები ოპოზიციის დეპუტატების მეთაურობით თავს დაესხნენ თავად შტირბეის სასახლეს.

ეგვიპტე

ეგვიპტეს ნაციონალისტების პროცესი.

ბერლინი. 7 აპრილი. ქაირში დაიწყო ეგვიპტეს ინტელიგენციის 40 წარმომადგენელთა მსხვილი პროცესი, რომელთაც ბრალი ედებათ შეთქმულებაში ინგლისის ჯარების წინააღმდეგ.

ჩეხო სლოვაკეთი.

პოლონეთის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 7 აპრილი. ჩეხეთის მთელი პრესა სასტიკად ილაშქრებს პოლონეთზე სამხრეთ გალიციის გადაცემის წინააღმდეგ. ამ კამპანიის მეთაური არის კრამარჟი, რომელიც აცხადებს, რომ ჩეხო-სლოვაკეთი [illegible] ესაზღვრებოდეს რუსეთთან. გაზეთი „ჩეხო“ მოითხოვს, რომ სამხრეთ გალიციაში გატარებულ იქნას პლებისციტი. ბენეშთან დაახლოვებული გაზეთი „ჩეშკა სლოვო“ გამოთქვამს, რომ უკრაინელები არასოდეს არ დასთანხმდებიან იცხოვრონ პოლონეთის უღლის ქვეშ.

პოლონეთის პრესა ძლიერ აღელვებულია ჩეხო-სლოვაკეთის პრესის ასეთი ტონით და ამტკიცებს, რომ თვით ჩეხო-სლოვაკეთის მთავრობა მხარს უჭერს ასეთ კამპანიას.

ესტონია.

მუშათა პარტიის დევნა.

მოსკოვი. 7 აპრილი რეველიდან იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ადმინისტრატიული წესით აკრძალა ყველა მუშათა გაზეთების გამოცემა, მათ შორის იმ გაზეთებისაც, რომლებსაც ნებართვა ქონდათ მიღებული, მაგრამ ჯერ ვერ მოასწრეს გამოსვლა.

ფინეთი

რუსეთ-ფინეთის ურთიერთობა თანდათან უმჯობესდება.

მოსკოვი. 7 აპრილი. ფინეთის გენერალურმა კონსულმა პეტროგრადში ჰელსინგფორსში ჟურნალისტებთან საუბრის დროს აღნიშნა რუსეთის ექსპორტისა და ტრანზიტის გამოცოცხლება.

ირლანდიაში.

რომი. 7 აპრ. დუბლინიდან იუწყებიან რომ ირლანდიის აჯანყებულთა მოქმედებები განახლდა.

რუსეთი და რუმინეთი

ჩვენი ნოტა.

მოსკოვი. 7 აპრილი. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა რუმინიის მთავრობას ნოტა გაუგზავნა, რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ რუსეთის რკინის გზების მმართველი ორგანოების ცდა აღმოიღოს მდინარე დნესტრიდან რუმინიის ჯარების მიერ 1919 წ. ჩაძირული ძვირფასი სატვირთო მანქანები, იწვევს წინააღმდეგობას რუმინიის მონაპირე ჯარების მხრით. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი სთხოვს რუმინიის მთავრობას აღუკრძალოს რუმინიის ადგილობრივ ხელისუფლებას მანქანების ამოღების საწინააღმდეგო ზომები. რუმინიის მთავრობა პასუხათ წინადადებას იძლევა რუსეთისა და რუმინიის შორის კეთილ მეზობლურ ურთი-ერთობის დახმარებისათვის და ნოტაში აღნიშნულ საკითხის მოსაგვარებლათ დელეგატების გაგზავნის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

მოსკოვი. 7 აპრილი. 11 აპრილს მოსკოვში კავშირთა სახლის გოლონის დარბაზში უმაღლესი სასამართლოს კოლეგია დაიწყებს ყოფილ პატრიარქ ტიხონის, მოსკოვის მიტროპოლიტის ნიკანდრის, ნოვგოროდის ეპისკოპოსის არსენის და სინოდის საქმეთა მმართველის გურიევის საქმის გარჩევას. უკანასკნელთ ბრალი ედებათ უცხო სახელმწიფოებთან საქმის დაჭერაში კონტრ-რევოლიუციონური მიზნით და საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე. ზემოჩამოთვლილ პირთ ბრალი ედებათ აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტისათვის წინააღმდეგობის გაწევაში და სარწმუნოების გამოყენებაში მასის ასამბოხებლად. ყოფილი პატრიარქი ტიხონი, დღიდან მისი არჩევისა, აშკარად დაადგა ანტისაბჭოთა პლატფორმას და მიემხრო საბჭოთა ხელისუფლების მტერთა ბანაკს. მის მიერ 1918 წელში გამოშვებულ მოწოდებაში იგი მოუწოდებდა მორწმუნეთ ბოლშევიკებთან ბრძოლისაკენ. უკანასკნელ მოწოდებებში ტიხონი არაერთხელ მოუწოდებდა ხალხს აჯანყებისაკენ ბოლშევიკების წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლებას ნათლავდა როგორც ყაჩაღურ, ბანდიტურ და ძალმომრე მთავრობას. სამოქალაქო ომის დროს ტიხონი საქმეს იჭერდა თეთრგვარდიელთა მიერ დაჭერილ რაიონების სამღვდელოებასთან და აწყობდა ლოცვებს თეთრების გასამარჯვებლად და წითლების დასამარცხებლად. 1921 წ. ტიხონი შეურთდა კარლოვიცკის შავრაზმულ კრების გადაწყვეტილებას, რომელმაც აღიარა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის საჭიროება შიმშილის, სიცივის და ავადმყოფობის საშუალებით. დეკრეტის გამოცემის შემდეგ, საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევამდე, ტიხონმა გამოუშვა მოწოდება, სადაც იგი მოუწოდებდა ხალხს წინააღმდეგობა გაეწია ამ დეკრეტისათვის და არ დამორჩილებოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

წინა წლის გამოძიების დროს პატრ. ტიხონი გამოტყდა დანაშაულობაში.

განაჩენის გამოტანა სახელმწიფო ვაჭრობის განყ. საქმეზე.

მოსკოვი. 7 აპრილი. 5 აპრილს დილის 7 საათზე, უმაღლესი სამხედრო სასამართლო კოლეგიის 12 საათის სხდომის შემდეგ, გამოტანილი იქნა განაჩენი სახელმწიფო ვაჭრობის განყ. საქმეზე. 14 ბრალდებულში დამნაშავეთ ცნობილი იქმნა 12 კაცი; გამართლებულია 1, ხოლო ერთს გამოეცხადა საზოგადო გაკიცხვა. სახელმწ. ვაჭრობის დირექტორს კოგანს და საგარეო ვაჭრობის რწმუნებულს ზალმანოვს მიესაჯა დახვრეტა ამნისტიის გაუვრცელებლად, ხოლო დანარჩენებს ციხე.

პარტსკოლების ყრილობა.

მოსკოვი. 7 აპრილი. 10 აპრილიდან მოსკოვში იხსნება სრულიად რუსეთის პარტსკოლების მეორე ყრილობა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

პარიზის ქალაქის მუშები განაგრძობენ ბრძოლას.

მოსკოვი. 5 აპრილი. პარიზის კომუნალურ მუშათა სხდომაზე უარყოფილი იქნა ქალაქის საბჭოს წინადადებანი. **მუშებმა გადასწყვიტეს განაგრძონ ბრძოლა.**

საგაფიცვო მოძრაობა იზრდება.

მოსკოვი 5 აპრილი. ვენიდან იუწყებიან, რომ ტრანსილვანიაში საგაფიცვო მოძრაობა იზრდება ძლიერის ტემპით. მურანტალში გაიფიცნენ 5.000 მუშა, რომელთაც წარადგინეს მოთხოვნილება ხელფასის 80 პროცენტით გადიდებისა და 8 საათის სამუშაო დღის ძალაში დატოვების შესახებ. გაფიცულთ ემხრობა კიდევ 8.000 კაცი. სოკუმარში გამოცხადებულია მელითონეთა, მეტყევეთა და მკერავთა საერთო გაფიცვა. ლუგოშში გაფიცულნი არიან მკერავები და დალაქები. ტრანსილვანიისა და ბონატის მრეწველთა თათბირზე გადაწყვეტილია შექმნან ბრძოლის მთლიანი ფრონტი მუშების წინააღმდეგ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარაში.

ბრძოლა პარტახტიანთან.

ბათომი 7 აპრილი. სასანიტარო-ეპიდემიო ბათომის განყოფილებას მიეცა ერთი მილიარდი მანეთი პარტახტიან სახადთან საბრძოლველად.

აზერბეიჯანი

ნავთის წარმოება.

ბაქო. 7 აპრილი. ბაქოს სანავთო მრეწველობაში მარტის თვის განმავლობაში ამოღებულ იქნა 18 მილიონი ფუთი ნავთი. აპრილში დღიური ამოღება უკვე დაიწყო 600,300 ფუთით. საბურღავათ მუშაობენ 157 დაზგა.

აზბანკის ბალანსი.

ბაქო. 7 აპრ. აზბანკის ბალანსი 1 აპრილისათვის უდრის 164,497 მან. 50 კ. ოქროთი.

ლონდონის ბაზრისათვის.

ბაქო. 7 აპრ. აზნეფტის მოსკოვის წარმომადგენლობამ ლონდონის ბაზრისათვის მიჰყიდა არკოსს 5,000 ტონა მაზუთის ზეთი.

სომხეთი

საბჭოთა მუშაკთა შორის.

ერევანი. 7 აპრილი. თავის უკანასკნელ სხდომაზე საბჭოთა მუშაკთა გამგეობამ დაადგინა: უახლოეს დროში საბოლოო ლიკვიდაცია უყოს წერა-კითხვის უცოდინარობას კავშირის წევრთა შორის და გააერთიანოს სამკითხველოები, რომლებიც სახალხო სამეურნეო საბჭოს შენობაშია მოთავსებული. განზრახულია ექსკურსიის მოწყობა კავშირის წევრთათვის.

პედაგოგიური მუზეუმი.

ერევანი. 7 აპრილი. მარტის განმავლობაში პედაგოგიური მუზეუმი ინახულა 5,488 კაცმა.

ბლერი.

ერევანი. 7 აპრილი. აზარანში ბლერი ღებულობს ეპიდემიურ ხასიათს.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ეჩმიაძინი 7 აპრილი. ეჩმიაძინის მაზრაში მუშაობს 26 სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. მოსწავლეთა რიცხვი უდრის 566 კაცს.

მენშევიკების განცხადება

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩვენ სრულიად გულწრფელ განცხადებას.

ჩვენ ვიყავით წევრები მენშევიკურ პარტიისა. დღეს ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ამ პარტიამ უსირცხვილოდ უღალატა სოციალიზმსა და რევოლიუციას. ჯერ კიდევ თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებში მან კავშირი შეჰკრა ბურჟუაზიულ პარტიებთან; ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კი, როდესაც ძალაუფლება აიღო პროლეტარიატმა და მისმა წინამძღოლმა კომპარტიამ,—მენშევიკურმა პარტიამ იარაღით ხელში გაილაშქრა ამ პროლეტარიატის წინააღმდეგ. სადაც წვრილი გაწყდებაო და ეს პარტიაც მოკვდა თავისი პოლიტიკური სიკვდილით, მას ჩამოსცილდა საუკეთესო ნაწილი მუშებისა და გლეხებისა. ჩვენ აქ ვერ შევუდგებით ამ პარტიის პოლიტიკური ბელადების საქმიანობის აღწერას, ვიტყვით მხოლოთ, რომ მთელი მათი მოქმედება მოთხუპნულია პროლეტარიატის სისხლით; ამ პარტიამ არ დაიშურა ბანდიტების ზნეობრივათ და მატერიალურათ ხელის შეწყობა რევოლიუციის საწინააღმდეგოთ. მოკლეთ, ჩვენ ვუერთებთ ჩვენს ხმას იმ განცხადებას, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ კომუნისტის № 73.

ჩვენ სრულიად შეგნებულათ გამოვდივართ ამ სოციალ-გამყიდველთა პარტიიდან, და როგორც ის 84 ამხანაგები, მოუწოდებთ მთელ ხალხსა და მუშებს ზურგი აქციონ ამ პარტიას და ამოუდგენ მხარში პროლეტარიატის ინტერესების დამცველთ, ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას მის აღმშენებლობითი მუშაობაში.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას, გაუმარჯოს პროლეტარიატს და მის მებაირაღტრეს კომპარტიას, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და გაერთიანებულ მუშათა ფრონტს, ძირს ყვითელი 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალი, ძირს გაკოტრებული მენშევიკური პარტია.

1. დოლიძე ნიკოლოზ	პარტ. წევრი	1920 წ.
2. ოსიტაშვილი დავით	„	1920 წ.
3. უგრელიძე ნიკოლ ქრისტიფორესძე	„	1906 წ.
4. კოკიაშვ არტემ გასპარისძე	„	1919 წ.
5. აფციაური მ. მუშა	„	1919 წ.
6. ბუაძე ერასტო—მუშა	„	1899 წ.

—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი: მე ვეკუთნოდი ს. დ. მუშათა პარტიას 1908 წლიდან საქართველოს გასაბჭოებამდის ე. ი. 1921 წლამდე. გასაბჭოების შემდეგ მე არ მიმუშავნია და არც კრებებზე გამოვსულვარ არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ. როგორც ეხლა დავრწმუნდი, მენშევიკური პარტია ასცდა მუშათა განთავისუფლების ნამდვილ გზას და ერთიანად გადაეშვა ბურჟუაზიის ბანაკში, რაც ეწინააღმდეგება მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ამის გამო მე შეგნებულათ ვტოვებ მენშევიკურ პარტიას და თავს ვაცხადებ ყოველივე პარტიების გარეშე. მსურველი ვარ ჩემი პატიოსანი შრომით ხელი შევუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, რომელიც ერთად ერთი დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესების.

გერმოგენ ზურაბისძე კორკელია

—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დამიბეჭდოთ შემდეგი: მე ვითვლებოდი 1917 წლიდან მენშევიკურ პარტიაში საქართველოს გასაბჭოებამდის, მას შემდეგ არავითარ პარტიაში არ მიმუშავნია. ეხლა კი სრულიათ შეგნებულად ვტოვებ მენშევიკურ პარტიას და დღეის შემდეგ ვალდებულათ ვთვლი თავს, რომ ხელი შევუწყო მუშათა ხელისუფლების განმტკიცებას.

პროკოპი ბესარიონისძე დოლიძე

1923 წ. 19 მარტი ქ. ფოთი

—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ განცხადებას თქვენი პარტიულ გაზეთის მახლობელ ნომერში.

1905 წლიდან მე ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიაში. დღეიდან კი გამოვდივარ ხსენებულ პარტიიდან და ვალდებულათ ვთვლი თავს ხელი შევუწყო საბჭოთა მთავრობას, რითაც შემეძლება.

ივანე მამალაძე

—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დამიბეჭდოთ შემდეგი:

მე ვირიცხებოდი 1908 წლიდან მენშევიკურ პარტიაში, დღეს მე უარვყოფ ჩემს ძველს რწმენას და შეგნებულად ვსტოვებ მენშევიკურ პარტიას და დღეის რიცხვიდან ვალდებულათ ვსთვლი თავს თავს ხელი შევუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, რითაც შემეძლება მე უსწავლელ მუშას.

ამბაკო დოლიძე

29 მარტი 1923 წ.

—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით გამოაცხადოთ შემდეგი:

1905 წლიდან მე ვიყავი მენშევიკურ პარტიაში. 1919 წელს სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩამოვშორდი მენშევიკურ პარტიას. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ვემსახურები შეძლებისდა გვარათ მუშათა საქმეს. და ეხლა დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა არის მუშათა კლასის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველი, ამიტომ მსურს შევიდე კომუნისტურ პარტიაში.

მასწ. პეტრე უშვერიძე

ნა, რომელსაც უეჭველათ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მთელ საქართველოსათვის. ეს არის მენშევიკების გახრწნა. ამ ფაქტიდან ანტისაბჭოთა პარტიის დაშლის ფაქტი ეჭვს გარეშეა, რადგან ყოველდღიურათ ისტამბება გაზეთებში მენშევიკურ პარტიის წევრთა წერილები, რომლებშიაც ისინი განაცხადებენ პარტიის რიგებიდან გამოსვლის შესახებ. განცხადებები პარტიის გამოსვლის შესახებ მოდის როგორც პარტიის უბრალო წევრებისაგან, აგრეთვე მათი ხელმძღვანელებისაგან (მაგალითად: თევზაია—მენშევიკების ც. კ.-ს წევრი). საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ ორი უკანასკნელი განცხადება ხელმოწერილია 120 კაცის მიერ, რომელთა შორის ნახევარზე მეტი ირიცხებოდნენ პარტიაში 1917 წლამდე. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ უპარტიო მუშათა მასებზე მენშევიზმის კრახი საუკეთესო გავლენას ახდენს, მათ თვალში კომპარტიის პრესტიჟი იზრდება და იზიდავს მუშებს ჩვენს პარტიაში, რასაც წინეთაც ჰქონდა ადგილი ტფილისის პროლეტარიატის წრეებში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

პროვინციაში

კოჯორი

კოჯრის დარაჯები.

დაახლოებით ამ ოცი წლის წინეთ კოჯორი წარმოადგენდა ტყიან მიდამოს, სადაც ტფილისელი მონადირეები ხშირად ნადირობდნენ. კოჯორის მიდამოებში იმ დროს შეხვდებოდით თითო-ოროლა აგარაკს. დღეს კი კოჯორი წარმოადგენს ერთ პატარა ქალაქს.

კოჯორის დაარსების და გაფართოების შემდეგ დაბინავებული არიან აქ აგარაკების დარაჯებიც, დაახლოებით ოთხმოც კომლამდე თავიანთ ცოლ-შვილით. ამ ჟამად დარაჯები ითვლებიან ადგილობრივ მცხოვრებლებად, რადგანაც მათ დიდი ხანია, რაც მიატოვეს თავიანთი სოფლები და ჩამოსახლდნენ კოჯორში. დარაჯების აქ გადმოსახლება, რა თქმა უნდა, არ მომხდარა ნებით, არამედ ძალაუნებურად. ესენი წარმოადგენენ იმისთანა პირთ, რომლებსაც არ მოეპოებათ არც ერთი ტკაველი მიწა არსად და მასთან ძალიან გალატაკებულ ოჯახებიდან იყვნენ და რომელნიც იძულებული ხდებოდნენ თავიანთი სოფლები დაეტოვებინათ და საცხოვრებელი წყარო მოეძებნათ უცხო მხარეებში. ამ მიზეზით მოსული პირი კოჯორში ვარდებოდა მემამულის ბრჭყალებში და ის იძულებული ხდებოდა, რომ სიმშილით არ ამოხოცილიყო მისი ცოლ-შვილი, ნაკლებ ფასებში მიეყიდნა თავისი შრომა კოჯორის მემამულესათვის, რომელიც ეწეოდა მისი უზომო ექსპლოატაციას, თვითმპყრობელობის ჩამოგდების შემდეგ და მენშევიკების დროს კოჯორი გამოცხადდა ქალაქად. ქალაქს სათავეში ჩაუდგა მოქალაქე ალექ. მეძმარიაშვილი, რომელმაც ისარგებლა ამ „პოსტი“-თ და კოჯორის მცხოვრებლების სახელზე გამოტანილ სურსათს ახმარებდა თავის თავს.

მენშევიკების დროს კოჯორი გადაიქცა საწველ ფურად და ყველა მას ყვლიფდა. მაგრამ 1921 წელმა შესცვალა პირობები: კოჯორის აგარაკები გადავიდა მშრომელ ხალხის ხელში. და კოჯორი უკვე გამოცხადებულია მშრომელ ხალხის ბავშვთა ქალაქად, სადაც სწარმოებს გაორკეცებული მუშაობა სახლების შესაკეთებლად და ბავშვებმაც საკმარისად მოიყარეს აქ თავი. ამასთანავე ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს დარაჯების უკანასკნელი მდგომარეობაც, საქართველოს გასაბჭოების დროს, როდესაც მენშევიკების ბანდები ებრძოდნენ მუშების ხელისუფლებას, უმთავრესი ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა თვით კოჯორი და ის ამ ბრძოლის დროს მენშევიკურ გვარდიელების მიერ მთლად განადგურებული იქნა და კოჯორის მცხოვრებლები კი გაძარცული. გვარდიელებმა უკანასკნელი ლუკმაც კი გამოაცალეს ხალხს და საბჭოთა მთავრობა რომ არ დახმარებოდა ამ ხალხს, ის სიმშილით ამოწყდებოდა.

ამ ჟამად, რამდენადაც ვიცით, გადაწყვეტილია კოჯორის დარაჯების გადასახლება განაპირა ადგილებში. ამისათვის საჭიროა ჩვენმა მთავრობამ სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ გაჭირვებულ ხალხს. იმედია, მთავრობა გაუწევს შესაფერ დახმარებას და ხელს შეუწყობს კოჯორის მეურნეებს ყოველ-მხრივ კერძოდ მეძროხეობის განვითარებაში, რომელსაც მცხოვრებლები უკვე მისდევენ და რაც თვით კოჯორისთვის, როგორც ბავშვთა ქალაქისთვის დიდად მნიშვნელოვანია. ვინც კოჯორის ცხოვრებასთან ახლოს სდგას. მას შეუძლიან შეაფასოს და სწორი წარმოდგენაც იქონიოს მაზედ, თუ რა პირობებში იმყოფებოდნენ კოჯორის მცხოვრებლები. მენშევიკების ხელისუფლების დროს შეხვდებოდით ქუჩებში კოჯორის დარაჯების ბავშვებს, როგორც მათხოვრებს, ტიტვლებს, ხელგაწვდენილებს მოწყალებისთვის ჩამოსულ ბურჟუების წინაშე. აქ მაშინ ხშირად შეხვდებოდით დაგლეჯილ კაბებით—ფეხშიშველა ქალებს ზურგზედ აკიდულ სარძეეებით სოლოლაკის ჩამოსასვლელ კლდესთან.

იყო დრო, როდესაც ისინი ბადახით და ჰინჭარათ იკვებებოდნენ. ერთი სიტყვით აუარებელი ტანჯვა გამოიარა კოჯორის ხალხმა; წარსულში მას ხვდა წილად სიმშილი, სიტიტვლე შეურაცყოფა და სხვა. დღეს კი პირობები ცოტათი გაუმჯობესდა და მათ მდგომარეობაც შედარებით უფრო გამოკეთდა და იმედია ამ ტანჯულ ხალხს მიეცემა საშუალება თავისუფლად ცხოვრებისა დაბა კოჯორში. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება, როგორც მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი, მიაქცევს მათ განსაკუთრებული ყურადღებას, აღმოუჩენს ყოველ გვარი დახმარებას, რათა ის ხალხი, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მიერ იქნა განთავისუფლებულნი კოჯორის მდიდარ მემამულეების კლანჭებიდან, თვითონ გახდეს ბატონ-პატრონი თავისი ოფლით შექმნილ ღირებულებისა.

კოჯრელი მუშა.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთ „კომუნისტში“ შემდეგი:

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი გულწრფელათ ვაცხადებთ, რომ დღეიდან თავს ვანებებთ ყოველგვარ პოლიტიკურ და მასთან არა ლეგალურ მუშაობასაც.

გარდა ამისა, ჩვენამდე ხმა მოვიდა, რომ თითქო ჩვენ ჩეკაში ვეწამებინოთ. ამიტომ ჩვენ ვალად ვრაცხთ ჩვენს თავს განვაცხადოთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ, მიუხედავად ჩვენი აშკარა დანაშაულობისა და ამ დანაშაულობაში არ გამოტეხისა, არავითარ ძალდატანებას და ფიზიკურ წამებას, როგორც ამაზე ლაყბობენ, ადგილი არ ჰქონია ჩვენს წინააღმდეგ.

მ. გოგუაძე.

ი. რუხიაშვილი.

4 აპრილი 1923 წ.

ქუჩის მუქარისტებს

(**წერილი რედაქციის მიმართ**)

თქვენ ღირსეულნო მამულიშვილნო და უდიდესნო მგოსნებო, ბ. პაოლო იაშვილო და ლეონიძე! თქვენი მუქარა, რომლითაც მე მომმართეთ 5 აპრილს ქუჩაში, აიხსნება მხოლოთ თქვენი ავლა დიდებით.

ჩემი მოხსენების მოკლე ანგარიში „ჰაიარტუნში“ „ქართულ პოეზიის“ შესახებ, მოთავსებული „კომუნისტ“-ის № 76-ში. თუ შეგიძლიათ რამე სთქვით.

ვწუხვარ, რომ პროლეტარიატის მტერებს, კიდევ ალაგი აქვთ მის სამფლობელოში. რაც შეეხება თქვენ მუქარას, ბატონო პაოლო: „კომუნისტების აღოფარება ვერ გიშველის, ჩვენ უფრო მძლავრნი ვართ და მალე დაგანახვებთ ამასო“—კეთილ ინებეთ და აგვიხსენით რაშია საქმე?

ა. ბუშტროვი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სააღგილმამულო ბანკში და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული—საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე—სახლების გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღითა და 16 №-ით გამოცემული დეკრეტის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მე-16 №-ით გამოცემული დეკრეტის 1. 2. 4. 5 და 6 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით:

მუხლი 1.—დაგირავებულ სახლზე არსებული ვალი—გამოანგარიშებული ოქროს კურსის მიხედვით,—გადახდილ უნდა იქნეს მსესხებლის მიერ ხუთის წლის განმავლობაში, დაწყებული 1921 წ. ივნისის 1-დან.

მუხ. 2.—ვალის რაოდენობა განისაზღვროს თვით ვალის იმ ნაწილით, რაც ირიცხებოდა მსესხებელზე 1921 წ. ივნისის 30-ს, ამასთანავე:

ა. მე-3 მუხ. თანახმად გადასახდელი ვალი იმ სესხისა, რომელიც გაცემულია 1914 წ. სექტემბრის 1-დან 1917 წ. მარტის 1-დე მსოფლიო ომის დროს,—შემცირებულ უნდა იქნეს 20 პროც. და

ბ. თვით ვალის რაოდენობა იმ სესხისა, რომელიც გაცემულია 1917 წლ. მარტის 1-დან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღემდე,—უნდა გაიისაზღვროს აღნიშნული 1921 წ. ივნისის 30-ს სესხის გაცემის ნახევარ-წლის პერიოდში არსებული ოქროს მანეთიანის საშუალო კურსის მიხედვით. ამ კურს აწესებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში თვითეული ნახევარ-წლისათვის ცალკე.

მუხ. 5. უკეთუ მსესხებელს,—ქონების მდგომარეობისა და შემოსავლობის გამო,—არ ძალუძს ვალის გადახდა, ამიერ-კავკასიის ფინანსთა ს. ხ. კომისარის რწმუნებულს საქართველოში უფლება ეძლევა,—მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანხმობით,—შეამციროს ეს ვალი (მუხ. 2 და 3) ერთბაშად ან ცალკე თვითეული სან. ხ ვარწლო გადასახადი 60 პროც.-დე,—იმისდამიუხედავად, როდის არის ქონება დაგირავებული.

მუხ. 5. გადასახადათ აღრიცხული ვალი დაყოფილი უ და იქნეს ათ ნაწილად პირველი ნაწილის გადახდის ვადად დაინიშნოს 1923 წ. ივნისის 1-ლი, მეორე ნაწ ლისა—1923 წ. დეკემბრის 1-ლი და შემდეგ ამავე წესით.

მუხ. 6. უკეთუ მსესხებელი მოისურვებს—ვადამდე გადაიხადოს მასზე მირიცხული ვალი (მუხ. 2, 3 და 4)—ეს ვალი შემცირებულ უნდა იქნეს 20 პროც.-ით,

11.. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ე ლ ი ა ვ ა.**

ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ს ა ლ ა რ ი ძ ე.**

1922 წ. მარტის „30“.

ტფილისი—სასახლე.

არაპირდაპირი გადასახადი.

ერევანი. 7 აპრილი. თებერვლის განმავლობაში სომხეთში შეგრებილი არაპირდაპირი გადასახადი უდრის 7 მილიარდ მანეთს.

ნახიჩევანის მხარე.

გლეხთა შორის.

ნახიჩევანი. 7 აპრილი. ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის რწმუნებული სომხეთში ამხ. ოვანესიანი, რომელმაც მოიარა ნახიჩევანის ოლქი, იტყობინება, რომ გლეხთა თათბირზე ორდუბათში, რომელსაც დაესწრო 250 კაცზე მეტი, წაკითხულ იქნა მოხსენება მიმდინარე მომენტსა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაზე. გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას და სთხოვა გადაეცა ძმურ სომხურ გლეხობისათვის ძმურვალე სალამი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, ნახიჩევანის მშრომელთა აზრით, შესძლო მეზობელ ხალხთა გაერთიანება და მათთვის მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობის შესაძლებლობის მიცემა.

რევიზია.

ნახიჩევანი. 7 აპრილი. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის რწმუნებული სომხეთში ამხ ოგანესიანის მიერ მოხდენილმა რევიზიამ ფოსტის კანტორის საქმეებისა, დაამტკიცა ამ უკანასკნელის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

ერთიანი გადასახადი.

ერევანი. 7 აპრილი. განსაკუთრებულმა კომისიამ ამხ. პოლოსიანის თავმჯდომარეობით მიიღო პროექტი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. 1923 წელში ახალი გადასახადი აღებული იქნება ყოველივე სამეურნეო ერთეულიდგან პროცენტული გადარიცხვის სახით—

იშვიათი შეფი

ქალ. თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებამ მიიღო ყოველგვარი ზომები ღვთის ანაბარათ, უპატრონოთ, ქუჩაში დარჩენილ ათასამდე ბავშვისათვის მოეწყო ბავშვთა სახლები. იგი არ ჩერდებოდა არავითარ დაბრკოლებების და ხარჯების წინაშე, არ ზოგავდა ენერგიას და ბოლოს მოაწყო ქ. თბილისში ათიოდე ბავშვთა სახლი, მაგრამ მათ სათანადოთ მოწყობას, შენახვას და ბავშვებზე ზრუნვას დიდი ხარჯები დასჭირდა. განათლების განყოფილებას მათი ყოვლადმრივი უზრუნველყოფა გაუჭირდა, ამიტომ იგი იძულებული შეიქნა მიემართა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისათვის, რათა მათ გაეწიათ სისტემატიურათ თუ არა, პერიოდულათ მაინც მატერიალური დახმარება ბავშვთა სახლებისათვის. და ხმა განათლების განყოფილებისა არ დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ბავშვთა მდგომარეობით დაინტერესდნენ, ბავშვთა სახლებს გამოეხმაურენ, ხოლო მესამე სახლს, ლუნაჩარსკის სახელობისას, ნამდვილი მშობლიური გრძნობით ხელი გამოუწოდა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და მისმა კომისარმა ამხ. ალ. ქუქაშვილმა.

დღიდან ბავშვთა მესამე სახლზე შეფობის მიღებისა, ამხ ქუქაშვილი დაწვრილებით ეცნობა სახლის მდგომარეობას, ხშირათ ნახულობს ბავშვებს, ბაასობს მათთან, ესაუბრება, ბავშვები სალიტერატურო-დრამატიულ საღამოებს მართავენ, ისიც ესწრება, ზრუნავს მუსიკა ხატვაში ნიჭიერ ბავშვებზე. ბავშვები უზიარებენ მას თავის გულის ნადებს, ისიც უსმენს, არიგებს, ურჩევს, აბავს მათთან სულიერ კავშირს, ბავშვები მასში ხედავენ ნამდვილ ჭირისუფალს, რომელიც სერიოზულათ არის დაინტერესებული მათი მდგომარეობით და ყველა ამას, თუ რა დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ადვილი წარმოსადგენია მკითხველისათვის. ამ რიგათ, ბავშვთა მესამე სახლმა ამხ. ქუქაშვილის სახით შეიძინა კიდევ ერთი აღმზრდელი, ხელმძღვანელი, მაგრამ მხოლოდ ამით არ განუსაზღვრავს მას თავის საქმიანობა ბავშვთა მესამე სახლის მიმართ. ამხ. ქუქაშვილმა რაღაც ორიოდე თვის განმავლობაში ე. ი. 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე ხსენებულ სახლისათვის შეიძინა:

ღირებულება

1) სახალხო ბანკიდან 94 საცვლისათვის მატერია	62 000 000
2) წამალი	40 000.000
3) ბინტები	24.000.000
4) შაქარი 5 ფუთი	10.000 000
5) შაშა 1 საჟ.	8.000.000
6) საშარვლე და სამატროსკე	162.000.000
7) ქუდები	2.255 000
8) უქმეებზე საჩუქრები	14 000 000
9) ფულათ	70.000.000
	398 000.000

ინსპექციის ქონებიდან დაუთმო სახლს:

1) შკაფი	3.000 000
2) გავიდა ორი	5.000.000
3) სკამი 15	15.000.000
4) რემინგტონი	15.000.000
5) ტელეფონის აპარატი დადგმით	5 500.000
	38 500 000

სულ 437.504.000

ორი თვის განმავლობაში ესოდენი დახმარება იმ აღმზრდელობით მუშაობასთან ერთად, რომელსაც აწარმოებს სახლის შეფი, სახალხო კომისარი ამხ. ქუქაშვილი თავის მშობლიური მზრუნველობით ბავშვთა მე-3 სახლის ბავშვებისადმი, არაჩვეულებრივ, სამაგალითო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, რასაც არასოდეს არ დაივიწყებს ბავშვთა მე-3 სახლი.

ბავშვთა მე-3 სახლის გამგე

ი. მელიქიშვილი

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის თებერვლის ანგარიში

(დასასრული იხ. „კომუნისტი“ № 78)

იაჩეიკების მუშაობა უპარტიოთა შორის საკმაოდ კარგათ სწარმოებდა. წითელ არმიის ხუთი წლის თავზე ბევრ წარმოებებში გამართულ იქნა მუშებისა და წითელ-არმიელების საერთო სუფრა და ყაზარმებში მუშების მისვლა-მოსვლა, სადაც წითელ არმიელებმა მათ საჩუქრები დაურიგეს.

ამ საერთო სუფრისა და მისვლა-მოსვლის ინიციატორ-ორგანიზატორებს უმთავრესათ იაჩეიკები წარმოადგენდენ, რომლებმაც მარჯვეთ შეასრულეს ეს ამოცანა.

დანარჩენში იაჩეიკების მუშაობა უპარტიოთა შორის ძველებურათ მიმდინარეობდა. ეს მუშაობა შემდეგში გამოიხატება: ღია სხდომები თებერვალში 166 გაიმართა, მათ დაესწრო 13,295 კაცი. ე. ი. 2 ნახ.-ჯერ მეტი,ვიდრე იანვარში.

გამართულ იყო იაჩეიკების მიერ 32 კონცერტი და წარმოდგენა და ამდენივე მიტინგი და მოხსენება.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა თებერვალში ბრწყინვალეთ ჩატარდა. ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ პოლიტიკურ კამპანიების მთელი რიგი გამართა, რომლებმაც გამოაცოცხლეს და აღაფრთოვანეს მუშათა მასსები.

კამპანია საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ ძალიან ფართეთ ჩატარდა. სააგიტ.-საპროპ. განყოფილებამ დასტამბა და ფართეთ გაავრცელა კომინტერნის აღმასრ. კომიტეტის მოწოდება და აგრეთვე განყოფილების მიერ გამომუშავებული თეზისები, რომლებიც დაწვრილებით ხსნიდენ იმპერიალისტების ახალ გამოსვლის მნიშვნელობას. ამ ფურცლებმა და აგრეთვე იაჩეიკებში და წარმოებებში გამართულმა კრებებმა ნიადაგი მოამზადეს პროტესტის საყოველთაო დემონსტრაციისათვის. ამიტომ პროტესტის მოწოდებამ ფართე გამოძახილი იპოვა მასსებში და დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მთელმა მშრომელმა ტფილისმა გამოუკლებლივ.

შემდეგი ამბავი, რომელმაც აამოძრავა მუშათა მასსები, ამხ საშა ობოლაძის მენშევიკების მიერ ვერაგული მკვლელობა იყო. მოკლულთა დასაფლავებამ ქუჩაში გამოიყვანა მრავალრიცხოვანი მუშათა მასსები.

თებერვლის დამლევს (23—25) დამდგარი წითელი არმიის 5 წლის თავი და მენშევიკების მიერ ალექსანდრის ბაღში მუშათა მიტინგის დახვრეტის 5 წლის თავი—არაჩვეულებრივი ზეიმით ჩატარდა. მენშევიკებმა გაავრცელეს ქალაქში პროკლამაციები, რომლებშიაც მოუწოდებდნენ მოქალაქეებსა და მუშებს არ გამოსულიყვნენ ამ დღეებში ქუჩებზე, მაგრამ მოწოდებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

დღესასწაულის მეორე დღე (24) ჩატარდა მუშათა და წითელარმიელთა დაძმობილების ნიშნით. ყაზარმებში, წარმოებებში, კლუბებში გამართულ იყო საერთო სუფრები. მუშები წითელ არმიელებს საჩუქრებს ურიგებდენ და ურთიერთ მეგობრობას უცხადებდენ. არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა მთავარი სახელოსნოები ვეებერთელა სახელოსნოები ორთქლმავლებითა და შემოქმედ აღმშენებლობითი შრომის ყველა ატრიბუტებით ვეებერთელა სასადილო და საკონცერტო დარბაზათ იქცა. რელსების გასწვრივ გამართული იყო სუფრა რამოდენიმე ათასი კაცისათვის. საგულისხმო დეტალი: სუფრა გაშლილი იყო იმგვარათ, რომ ერთ მხარეზე წითელ არმიელები ისხდენ და მეორეზე მუშები. იქ, სადაც ისხდნენ წითელ არმიელები, ყოველ ადგილთან თეთრი პური იდო და მუშების ახლოს კი—შავი

ათასი კაცი მოთავდა უზარმაზარ სასადილოში. სადილი მდიდარი და გემრიელი იყო. სადილის შემდეგ კონცერტი გაიმართა. ყველას საჩუქრები დაურიგდა. 2 ნახ. ათასი საჩუქარი დარიგებულ იქნა ამ დღეს რკინის გზელ მუშათა ხარჯით, რომლებმაც ერთი დღის განმავლობაში 1 მილიარდი მანეთის ნებაყოფლობით შემოწირულება გაიღეს.

არა ნაკლებ ზეიმით და გრძნობიერათ ჩატარდა საერთო სუფრები დანარჩენ წარმოებებსა და ყაზარმებში.

უკანასკნელ სააგიტაციო კამპანიას, რომელიც გამართული იყო ტფილისის კონფერენციის მუშაობასთან გასაცნობათ, შინაპარტიული ხასიათი ჰქონდა.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ დასტამბა და მთელს ორგანიზაციაში გაავრცელა მამია ორახელაშვილის მიერ ამ კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენება საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ 3.600 ცალის რაოდენობით კამპანია ცოცხლათ ჩატარდა, განსაკუთრებით,—მიწის რეფორმისადმი მწვავე ინტერესის გამო.

თებერვლის განმავლობაში მუშაობდა 52 პოლიტიკური წრე, 6 მარქსისტული წრე და 4 სარაიონო პარტიული სკოლა.

საგრძნობია მომზადებულ ხელმძღვანელთა და სახელმძღვანელოების დანაკლისი, მაგრამ სააგიტ.-საპროპ. განყოფილება, თუმცა დიდის შრომით, მაინც აკმაყოფილებს წრეების ამ საჭიროებას მოსკოვიდან მუდამ მოდის ლიტერატურა და თებერვლის განმავლობაში მიღებული და გავრცელებულია სხვა და სხვა წიგნებ(ი)ს 340 ცალი. წიგნები, უმთავრესათ, წრეებში და სკოლებში სამეცადინო ძირითად სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ.

გავაშუქებთ მუშაობის დანარჩენ დარგებს.

ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა თვალსაჩინოთ წაიწია წინ. ის მდგომარეობს სავსებით იმ ნაკლულევანებათა შევსებაში, რომლებიც აღნიშნულ იყვნენ წინანდელ ანგარიშში.

პარტორგანიზაციის მუშაობა ახალგაზრდათა შორის ძველი წესით მიმდინარეობს.

პარტია დახმარებას უწევს ახალგაზრდათა კომკავშირს, მაგალითად: ტფილისის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ც. კ-ს წინაშე ახალგაზრდათა კომკავშირისათვის ქამოევის ეკლესიის გადაცემის შესახებ მოსწავლე ახალგაზრდობის კლუბის მოსაწყობათ. დახმარება აღმოჩენილია აგრეთვე „სპარტაკი“-ს ორგანიზაციისათვის ბინის შოვნის საქმეში და სხვ.

ახალგაზრდობის კომკავშირის ტფ. ორგანიზაცია განაგრძობს ზრდას. მისი შემადგენლობა 1-ლ მარტისათვის შემდეგია: ორგანიზაციაში ირიცხება 1607 წევრი და კანდიდატი. წევრები შეადგენენ 83.97 პროც., კანდიდატები 16,03 პროც. ქალთა რიცხვი—16 პროც. ეროვნების მიხედვით მისი შემადგენლობა შემდეგია: ყველაზე მეტია სომხები (35,3 პრ.), შემდეგ რუსები (26,08 პროც.), ქართველები (25,71 პროც.), მაჰმადიანები (3,24 პროც.), და სხვა ეროვნების—(9,77 პროც.).

მუშაობა პროფკავშირებში უცვლელათ მიმდინარეობს. მას არ ემჩნევა გადახრა არც გაუმჯობესების და არც გაუარესების მხრით. კავშირი პროფკავშირებთან შეიძლება განმტკიცებულათ ჩაითვალოს:—სარაიონო კომიტეტები მუშაობენ პროფკავშირებთან შეთანხმებულათ, განსაკუთრებით, იმ დარგებში, სადაც პარტიული და პროფესიონალური მუშაობა ურთიერთ გადახლართულია.

ვათავებთ რა თებერვლის ანგარიშს, საჭიროთ ვთვლით აღვნიშნოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლე-

პატარა ფელეტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნაპირისკენ!..

(**მეგობრული შარჟი**).

ანგელოზივით ძირს დაიხრება
ოცნება, სულის ნაზი მხლებელი,
და დამშვიდებულ გულში ილურება
მოგონებათა ნელსაცხებელი.

ფანჯრის ნაპირებს ნაკადი ტკბილი,
მოდის სიზმარი განაცხ. დები:
დიდის ოთახი ყოველთვის თბილი
დაბალ კედელზე ძველი ხატები.

ხატის წინ სამი თაფლის სანთელი
და ვერცხლით სავსე პატარა ჭისა
ხატზე დოლბანდი და შარშანდელი
ფოთოლ გამხმარი წმინდა შტო ბზისა...

(პოემიდგან: „შორეული ნაპირი“, ხ. აბაშელისა).

ბაბუა ჩემი იყო გიორგი
და ბებია ჩემს ერქვა სოფიო...
ზაფხულში მქონდა ტყემალზე მდოგვი,
შობის მარხვაში მკლავდა ლობიო...

მაგრამ ოცნებას „შობის ღვეძელი“
და საკალანდო ხიბლავდა ბ ტი,
მეც შობის მარხვებს მით გავუძელი,
რომ სულ წინ იყო ეს ანდამატი!..

კორკოტობას რომ გადავსცდებოდი,
ლოგინში მეწვა ჩემი ღვეძელი:
ბებიასავით მისგან ვსთბებოდი,
ბაბუას წვერებრ ის იყო გრძელი.

„მუცლის სალოცავს“ რომ ამიხსნიდენ,
შემდეგ მიყვარდა ღვეძლის დათრევა:
კბილები ჩემი ყველს და პურს ბღლენიდენ,
სიკვდილად მინდა სხეებისთვის ქმევა...

უსაზღვროო ქვეყნად არაფერია
და ვიწყდებოდი მეც ღვეძლის კიდეს,
მაგრამ რაც მჭირდა, თქვენი მტერია,
მშუნაგი და-ძმის მე გადამკიდეს:

შიშის მივლიდა სულ ტრუანტელი
და შვებით მხოლოდ შევისუნთქავდი,
როს ილეოდა ჩემი ღვეძელი
და უკანასკნელს ლუკმას ჩავნთქავდი...

შემდეგ ვიშვერდი ცხვირს კალანდისკენ,
რადგან მელოდა იქ ხაჭაპური,
და ერთი კვირით მომავალისკენ
ეჭვება ჩემი თვალი და ყური...

„ცრემლის ჰრას“ ბინდი რომ დაწვებოდა,
ბუზღუნს ასტეხდა მძლავრს ჩვენი კერა:
ხაჭაპურები კეცზე ცხვებოდა
და ჩვენი ბედიც ზედვე ეკერა...

კვლავ გაშლილს გობზე სდებდენ „დედოპურს“,
იქვე—ლორის თავს, ფულს და აბრეშუმს...
და მეც თაგვსავით ვატანდი თვალ-ყურს
ირგვლივ დიდების ჩოქვას, ლოცვას ჩუმს...

გობს გვერდით ედგა სამფერა სკამი,
ზედ საცე თლურად—ქოთნის ნატეხი...
თაფლის სანთელი ბჟუტავდა სამი,
გობის კიდეზე რომ ედგათ ფეხი...

და აბრუნებდა გობს წარამარა
ბაბუაჩემი, გრძნობით აღვსილი:
ხშირად იცოდა „მოგვმადლეს“ ხმარა,
პირზე ეკერა წმინდა ბასილი...

და ჩიჩილაკი იქვე კუთხიდგან
ისე დასცქეროდა ამ პროცედურას,
ვით სოფლის მღვდელი პროვინციიდგან
დღეს „წმინდანების კარრიკატურას“!..

აბ, რა კარგია „ოქროს ბავშვობა“,
მდიდარი ბევრგვარ შთაბეჭდილებით!
აღდგომა, ბზობა, კალანდა. შობა...
ღვეძლის და პასკის ზომვა კბილებით...

მაგრამ დღეს იმათ ვინ დამიბრუნებს?!.
ჟამს ბნელს ჩაჰბარდა ეს იდილია...
დღეს აქ ქარხნებში ქშნადი გუგუნებს
და ორთქლმავალი აწყვეტილია...

დღეს ბინდი ვერ ნთქავს ქალაქის ბაღებს
და იფანტება შორს ღამის ბნელი,
ელვის შუქი სდის ელექტროჭაღებს,
ბრწყინავს ქუჩაც თვით უკანასკნელი...

დღეს სულაც არ მსურს ქოხში, ვით ძველად,
თაფლის სანთელმა რომ ილაპლაპოს,
დე, იქ შეიჭრას ელექტრო მწველად
და ის სანთელიც იმან ჩაჰქლაპოს!..

ონისიმე.

განცხადებები

დღეს, 8 აპრილს ჰაიარტუნის დარბაზში (ტროცკის ქუჩა № 6) საღამოს 7 საათზე შესდგება საზოქალაქო პანაშვიდი სომხეთა პოეტის

ოვანეს თუმანიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სახლი

ბაღით და თავისუფალი ეზოთი. ვისაც სურს ჩქარა გაჰყიდოს ან შეიძინოს ხელსაყრელ პირობებში, მიმართეთ დავიდოვის ქუჩ. № 3, ბინა 2, გოლოვინის ქუჩის გვერდით.

(499—5—2)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიათერმიით

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

(501—25—4)